



ჩატობაა გარემოს დასვა საფირო და ჩა კავშირი აქვს ჩვენს ქმედებას ბუნების კეთილდღეობასთან

თინათინ უგრეხელიძე

კაცობრიობის განვითარების პროცესი ძალიან დიდ და მრავალფეროვან პერიოდს მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ ევოლუციის ეტაპები ადამიანს მნიშვნელოვნად ცვლიდა, ერთი რამ ყოველთვის ცხადი იყო: ადამიანი ბუნების წიაღში წარმოიშვა და განვითარების ყველა ეტაპზე მჭიდრო კავშირი ჰქონდა ბუნებასთან. აქედან გამომდინარე, ადამიანი ბუნების შვილად და მის განუყოფელ ნაწილად მოიაზრება. დღესაც კი, როდესაც ხალხის დიდი ნაწილი ბუნებისგან მოშორებით, ქალაქებში ცხოვრობს, მათთვის მუდმივად სანატრელია სიმწვანით და ჯანსაღი ჰაერით სავსე გარემო. შესაბამისად, ბუნებასთან ეს მიჯაჭვულობა შემთხვევითი სულაც არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანს ბუნების შვილის სტატუსი ნამდვილად აქვს, უკვე კარგა ხანია, რაც ის გარემოს დაზიანებაში საკმაოდ დიდ როლს ასრულებს. დღესდღეობით ხშირად გვესმის ისეთი ტერმინები, როგორებიცაა: „გარემოს დაბინძურება“, „გლობალური დათბობა“, „ბიომრავალფეროვნების შემცირება“, „გადაუმუშავებელი ნარჩენები“ და ა.შ. ყველა ასეთი ტერმინი გულისხმობს, რომ დედამიწა უამრავი სერიოზული საფრთხის წინაშე დგას. ეს რისკები ამცირებს პლანეტის რესურსებს, ცოცხალი ორგანიზმების ნაირგვარობას, ცვლის კლიმატს და, საბოლოო ჯამში, დედამიწაზე ცხოვრებისთვის შეუფერებელ გარემოს აყალიბებს.

ადამიანის ქცევა მართლაც ძალიან დიდ გავლენას ახდენს ჩვენი პლანეტის მომავალზე. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად უნებლიეთ ვხდებით გარემოს დამზიანებლები, ნებისმიერ ჩვენგანს შეგვიძლია წვლილი შევიტანოთ მის დაცვაში და აქტიურად ვიზრუნოთ პლანეტის კეთილდღეობაზე. სამისოდ კი საჭიროა ვიცოდეთ, თუ რატომია გარემოს დაცვა თითოეული ჩვენგანის ვალდებულება. თუმცა, სანამ ამ საკითხზე გადავალთ, უნდა გავერკვეთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბუნებას.

ბუნება ადამიანს მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის რესურსებით უზრუნველყოფს, ის გვანვდის მრავალფეროვან და ჯანსაღ საკვებს, სუფთა წყალსა და ჰაერს – ეს ყველაფერი კი ჩვენი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის აუცილებელი ფაქტორებია. უმეტესწილად, სწორედ ბუნებაში მოპოვებული რესურსებით მზადდება სასიცოცხლოდ საჭირო მედიკამენტებიც. ბუნება გამონახობლქვით დაბინძურებულ ადგილებს ხეებიდან გამოყოფილი ჟანგბადით წმენდს. სიმწვანე ადამიანის ფსიქიკაზეც კარგად მოქმედებს, ის ერთგვარი შვებაა ჩვენი გონებისთვის. სწორედ ამიტომ ვატარებთ დასვენების დღეებს ბუნებაში. თუმცა, ბუნების საჭიროება ხშირად გვავიწყდება.

აღსანიშნავია, რომ 50 წლის წინ დედამიწა ჯერ კიდევ არ იდგა გლობალური გამოწვევების წინაშე. დღესდღეობით კი ერთი ორად არის გაზრდილი ისეთი პრობლემები, როგორცაა ჰაერის, წყლისა და ხმელეთის დაბინძურება. ეს არის ლოგიკური შედეგი, რადგან წლიდან წლამდე იზრდება ავტომობილების რაოდენობა დედამიწაზე. ხშირად ავტომობილები, უხარისხო სანავის მოხმარების გამო, გამოყოფენ მავნე თხევად და მყარ ნაწილაკებს, ასევე აირებს. ასეთივე

პრობლემას ქმნის ზოგი ქარხანაც, რომელიც მუშაობის პროცესში ფილტრებს არ იყენებს. აირების გაფრქვევა ატმოსფეროში კი არა მხოლოდ ადამიანების ჯანმრთელობისთვისაა საზიანო, არამედ ის გავლენას ახდენს ტემპერატურაზეც. ეს აირები იწვევს დედამიწაზე დაგროვილი სითბოს კოსმოსურ სივრცეში გასვლის შეფერხებას და აქვე დაგროვებას, რის შედეგადაც იზრდება ტემპერატურა. სწორედ ამ პროცესს ეწოდება გლობალური დათბობა. გლობალური დათბობის გამო დედამიწის ყველა ნაწილში იცვლება მისთვის დამახასიათებელი კლიმატი. შესაბამისად, კონკრეტული ცოცხალი ორგანიზმებისთვის საჭირო საარსებო გარემოც იცვლება, შეუფერებელი ხდება და ხშირად სწორედ ეს იწვევს მათ განადგურებას. მაგალითად, ანტარქტიდაზე ყინულის დნობამ შესაძლოა პოლარული დათვების გადაშენება გამოიწვიოს.

აქვე აღსანიშნავია წყლისა და ხმელეთის დაბინძურება, რაც ნარჩენების ზრდითაა გამოწვეული. ადამიანები ყოველდღიურად ვანარმოებთ ძალიან დიდი რაოდენობით ნარჩენს. ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ამ ნარჩენების უდიდესი ნაწილი პლასტიკურია. ხშირად ჩვენ არ ვამბობთ უარს ერთჯერადი მოხმარების ჭურჭელზე, პოლიეთილენის პარკებზე, რასაც მაღაზიის კონსულტანტები გამუდმებით გვთავაზობენ. შესაფუთად არა ქალაქის, არამედ პოლიეთილენის მასალებს ვიყენებთ. პოლიეთილენი კი იმ ნარჩენთა კატეგორიაში გადის, რომლებიც არ იხრნება და დედამიწაზე მუდმივად რჩება. შეიძლება გაგიკვირდეთ კიდევ, თუ გაიგებთ, რომ მორჩენილი და გადაყრილი საკვებიც ნარჩენია – სწორედ ამიტომაც, რომ ბევრი მაღაზია ხშირად დღისით მორჩენილ საკვებს არიგებს და არ ყრის. საბოლოო ჯამში, ადამიანები ერთ ადგილას ვაგროვებთ ნარჩენებს – ნაგავსაყრელებ-






ზე, რომლებიც არა მხოლოდ ხმელეთზე, არამედ წყალშიცაა მოწყობილი. წყლის დაბინძურების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ რომ იქ ნარჩენების ჩაყარაა. ამ გზით ნადგურდება წყლის ცხოველების დიდი ნაწილი. ხმელეთზე დაგროვებულ ნარჩენებს კი წვავენ, რის შედეგადაც გამოყოფილი ტოქსიკური აირები ჰაერს აბინძურებს და ადამიანების ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს.

წყლის დაბინძურების გარდა, დიდი პრობლემაა მისი ჭარბი მოხმარებაც. ხშირად ადამიანებს გვეგონია, რომ წყალი მუდმივი რესურსია და მასზე ხელი ყოველთვის, მომავალშიც, მიგვიწვდება. სწორედ ამ დამოკიდებულების გამო ხდება, რომ წყალს საჭიროების გარეშეც ვხარჯავთ ხოლმე (მაგ.: ვუშვებთ ონკანს და ასე ვცოვებთ დიდხანს, ვსვამთ ჭიქის 1/3-ს და დანარჩენს ვღვრით და ა.შ.). საქართველოსგან განსხვავებით, არსებობს ქვეყნები, რომლებსაც წყლის სიმცირის დიდი პრობლემა აქვთ. ამრიგად, ხშირად უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ ეს, ერთი შეხედვით მუდმივი, რესურსი მუდმივი ნამდვილად არ არის.

დედამინა კიდევ ერთი დიდი პრობლემის წინაშე დგას, რომელშიც ასევე ურევია ადამიანის ხელი – ეს ბიომრავალფეროვნების შემცირებაა. ბიომრავალფეროვნება მოიაზრებს ბუნებაში არსებულ ყველა ტიპის ცოცხალ ორგანიზმს: როგორც ფაუნას, ისე ფლორას. ამ პრობლემის წინაშე ხეების ხშირი გაჩეხვითა და ბუნების ურბანულ სივრცედ გადაქცევით დავდევით. გამოდის, რომ ჩვენ ვანადგურებთ ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სივრცეს, ანუ ბუნებას. ეს ხომ სწორედ ის ადგილია, რომელიც კაცობრიობას სუფთა წყლით, ჰაერით, ჯანსაღი საკვებით და არსებობისთვის საჭირო უამრავი რესურსით უზრუნველყოფს.

გარდა ჩამოთვლილისა, დედამინაზე კიდევ მრავალი გლობალური რისკი არსებობს, მაგალითად: მჟავა წვიმები, პოპულაციის ზრდა, გენური ინჟინერია და ა.შ. მათი უმრავლესობა სწორედ ადამიანის ნებას და სოციალურ პასუხისმგებლობას უკავშირდება. სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ადამიანები ამ საკითხებზე ფიქრობენ და ცდილობენ მაქსიმალურად შეამცირონ თავიანთი უარყოფითი გავლენა გარემოზე. გარემოზე ზრუნვა კარგად ავლენს პიროვნების რაობას, კარგად ჩანს, გვაქვს თუ არა პასუხისმგებ-



ლობა როგორც საკუთარი თავის, ისე სხვა ადამიანების მიმართ. მეტიც, ეს პასუხისმგებლობა ვრცელდება არა მხოლოდ ადამიანებზე, არამედ იმ ცოცხალ ორგანიზმებზე, რომლებიც ბუნებაში გვხვდება და ამდენად, ყველა მცდელობა, ნებისმიერი პირადი მაგალითი ბუნებასთან პასუხისმგებლობით მოპყრობისა გავლენას ახდენს ვიწრო წრეზეც და მთელ საზოგადოებაზეც.

დედამინა და ადამიანი ცალ-ცალკე არ არსებობს, რადგან ეს პლანეტა ჩვენი სახლია და ჩვენ ბუნების შვილები ვართ. ყოველდღიურობა ხშირად გვაგინებს იმას, თუ რამდენ სარგებელს გვაძლევს ჩვენი გარემო. ჩვენ ვსუნთქავთ ჰაერს, ვსვამთ წყალს, ვიკვებებით ჩვენთვის სასურველი საკვებით და, რაც მთავარია, გვაქვს არჩევანი! საყოფაცხოვრებო მიზნების გამო ყოველდღიურად მოვიხმართ სხვადასხვა ტიპის ენერჯიას. ეს რესურსები შეუზღუდავად გვაქვს, რაც ჩვენს კეთილდღეობას მნიშვნელოვნად განაპირობებს. სამოსიც კი, რომელიც ყოველდღიურად გვაცვია, სწორედ რომ ბუნების დამსახურებაა. აქედან გამომდინარე, ცხოვრებაში ერთი ნაწილაკიც კი არ იქმნება დედამინის რესურსების გამოყენების გარეშე.

ჩვენი ქცევა, უყურადღებოდ ვიყოთ ამ რესურსების მიმართ და ვხარჯოთ ისინი უპასუხისმგებლოდ, უპირველესად დედამინაზე, შემდეგ კი ჩვენსა და მომავალ თაობებზე იმოქმედებს. ამიტომაც მნიშვნელოვანია, კარგად დავფიქრდეთ მაშინ, როცა:

- ვსარგებლობთ არა საზოგადოებრივი, არამედ კერძო ტრანსპორტით;
- არ ვაქცევთ ყურადღებას იმას, თუ რა დოზით მოვიხმართ წყალსა და ელექტროენერჯიას;
- არ ვაქცევთ ყურადღებას, თუ რა რაოდენობის ქაღალდს ვიყენებთ;
- ვიყენებთ ერთჯერადი მოხმარების ჭურჭელს;
- ვიყენებთ პოლიეთილენის პარკებს;
- სანაგვე ურნაში ვუშვებთ ნივთებს, რომელთა მრავალჯერ გამოყენებაა შესაძლებელი;
- თხოვების მაგივრად ვყიდულობთ ნივთს, რომელიც მხოლოდ ერთხელ გვჭირდება;
- ვყრით გამოსადეგ საკვებს.

სამწუხაროდ, ამ სიის გაგრძელება დაუსრულებლად შეიძლება, თუმცა, ასევე შეიძლება ჩვენი მავნე ჩვევების აღმოფხვრა, თუკი საკუთარ თავზე ვიმუშავებთ. ამისათვის კი საჭიროა ყოველდღე შევახსენოთ საკუთარ თავს, რომ დედამინა ჩვენი სახლია, ჩვენ კი – ბუნების შვილები ვართ.

